

1937

საბავშვო
გაზეთი

მუსონაბერი

1937
1937



№1

1937ბ.

„თავთმჯობელი“

სამ. ბ. ლ. კ. კ. ცეცხლა და სამ. განსახორციელების მართლმადიდებელი მოძრაობა

№ 1
იანვარი
1937 წ.

წელიწადი 80-11

სამ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტი“
რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

შინაარსი

	88:
1. ცქვიტი, — პირველი პრიზი (მოთხრობა)	1
2. დაფნარელი წიგნი. — პირველი თოვლი (ლექსი)	3
3. მარიჯანი. — მამია თეოს ბატონი (ლექსი)	4
4. ნაკაშიძე ნინო, — ზენ დავიკარგეთ (მოთხრობა)	5
5. ქვარიათი სიმონ, — ლომი	7
6. დედარიათი კლავდია, — მონადირე (მოთხრობა)	8
7. შვედლიშვილი იოსებ, — ახალი წელი (ლექსი)	11
8. ახვლედიანი დარია, — წერილი პაპარა მეგობართან (ლექსი)	11
9. ნიკოლაიშვილი იოსებ, — დათვი, მგელი და მელა (ზღაპარი)	12
10. გოგუაძე ნ., — მიწის ქვეშ (წერილი)	14
11. ჭიჭინაძე ლავრენტი, — პასუხისმგებლობის ნიმუში	15
12. გომართელი ივანე, — ოქტომბრულთან საუბარი (მოთხრობა)	16
13. თევზაძე კლ., — ჭიანჭველის ბუდე (გამოცანა)	გარეკანის 4-გვ.

ქორნალი დასურათებულია მხატ. ი. ქოქიაშვილის მიერ.


პ/მგ. რედაქტორი: ბაზო ზაზიაშვილი პ/მგ. მდივანი: ლ. ჭიჭინაძე

პირველი პრიზი



137
1937

მ მ მ მ მ მ



მოდინ, მოხმაურობენ. ქუჩა სასევა ბავშვთა ქრიაბულით. აგერ სახელმწიფო ოპერაც. იქ დღეს ბავშვთა დიდი ზეიმი. უხარმაზარი ნაძვის ხე ქვეყნის სათამაშოებით კობტად მოურთავთ. კენწეროზე ხუთქიმიანი ვარსკლავი გაუკეთებით და როგორც შუქურა, ისე ბრწყინავს.

სათამაშოებით აქრელეებული და ფერადი ელნათურებით გაშუქებული ნაძვის გაშლილი კალთები სცენიდან ზღაპრულ მშენებით იყურება. გარშემო მწვანე მიწიანი და შორიდან ტყიანი მთები ერთადერთ მორთულ ნაძვის ხეს ბლიჯრ უხდება და უფრო ალამაზებს.

აგერ მუსიკაც აგრიალდა. ბავშვები ახმაურდნენ.
— ჩქარა, დედა, ჩქარა! რალა ვქნათ, კიდევ დაიწყეს! — წუხს დავვიანებული პატარა.

— თამაზ, აქეთ, ბიჭო, აქეთ მოდი, მანდ სად მიჰკრები? — სტუქსავს დედა წინ გაქცეულ ბავშვს.

— ჩემი ქული, ქული ძირს ჩამივარდა, — ქირვეულობს მოუსვენარი შალიკო... და ასე მრავალნაირი გამოძახილით და დაუკავებელი ჩოჩქოლით შეუწყვეტილივ მოიმართებიან ხავერდდაფენილ კიბეებზე პატარა სტუმრები მდინარესავით.

თეატრი კი გრგვინავს მუსიკის ხმებით და ბავშვთა გამოძახილით...

— იქ წავიდეთ, დედა... იქ მიწა... მიწა, უთხარი, ის დედოფალა მე მომცენ... გესმის, ჩქარა მომცენ დედოფალა! — ტირის წინა რიგებში პატარა ვაგლა და დედას ნაძვის ხისავე კალთით ეწევა.

— ის ცხენი ზომ მე მერგება? პა, დედა? მე მერგება, არა, დედიკო? მითხარი ჩქარა, მითხარი! — ჩასკუბია დედას არჩილი და სცენისაკენ ზურგმებრუნებული დედას სახეზე ხელებს ალერსით უცაცუნებს, რომ დედამ წინასწარ გადაჭრას მისი ბედი და იღბალი...

ბავშვები ავიზგივებული თვალებით ნაძვის ხეს მისჩერებიან. ამ დროს ტაშმა იგრიალა, და ბავშვების ყურადღება ახლა სხვა სანახავმა მიიპყრო.

— უუჰ... მოდიან, მოდიან... უუჰ, რამდენი არიან! — ყვირიან ბავშვები, და დარბაზი უაქესად გრგვინავს მათი ხმაურით.

— აგერ, მერაბ, ხედავ, წინ სოკოები მოუძღვიან, შეხედე, შეხედე, უკან ქრელფთიანი პეპელები მოჰყვებიან.

— უუჰ! აგერ კურდღლები, ჩვენი გრძელყურა კურდღლები!! — ხმაურობენ გახარებული ბავშვები.

ტყის სტუმრები ნაძვის ხისავე ისეთი ლამაზი ცეკვით, ისეთი ხტუნვა-კუნტრუშით მოიმართებიან, რომ ალტაცებული ბავშვები ტაშის ცემას დიდხანს აღარ წავეტენ.

წინ პეპელები მოქრიან, ფრთებს არხევენ და მარმამებს ლამაზად აფრიალებენ.

მათ შემდეგ დიდქულიანი სოკოები მოაბიჯებენ. სოკოებს ცეკვა-ხუნტრუშით მოჰყვებიან ნარნარი ყვავილები, გამქვირვალე ფრთებიანი ფუტკრები და კურდღლები. მათ უკან ძერა ძლივს მოგოგმანებს, ძერას კი ეშმაკი მელა მოს დევს და სიხარულით მალაყს გადადის.

ბ. ბ. ბ.

მელა კუდს ხან გაშლის, სულელ ძე-
რას ეღვრება, ხან კაბის კალთასავით
ხელში დაიჭერს და ცეკვა-ტრიალით მოხ-
ტის და მოკუტრუშებს.

— ხა-ხა-ხა! — ხარხარებს ტკბილად
ღარბაზი.

— ჩქარა წადი წინ, თორემ მელამ თი-
თონ იცის, როგორც მოვიაღვრებს!

— შო, შო, თუ თავი წაგაგლიჯა, და-
გიღვება მაშინ ეგ თვალი! — სისარულით
ქვიპინებენ პატარები.

მელიას შემდეგ ბაჯბაჯა დათვიც გა-
მონდა.

— ო-ო-ო! გაუმარჯოს ჩვენ დათუნას,
გაუმარჯოს!

შეჰყვირეს უცებ ბავშვებმა.

— წესე, ბიკო, როგორ მთვრალივით
ტორტმანებს... აგერ კდეც წაბარბაც-
და...

— ხა-ხა-ხა! — ხარხარებენ მოუსვენრე-
ბი და აქეთ-იქიდან ხელის ქნევით დათვს
თავისაკენ იპატყებენ.

— აქეთ, დათუნა, ჩვენკენ, ჩვენკენ!

— აი წაქარი, არ გინდა, ტკბელი შა-
ქარი? — უყვირიან ბავშვები. დათვიც გა-

ჩერდა, ყველას თავი დაბლა დაუკრა და
თათით კოცნა გაუგზავნა.

— ხა-ხა-ხა! — ხარხარებენ ცელქები.

— კიდე, დათუნა, კიდე, ძუნძულა! —
უყვირიან აქეთ-იქიდან, მაგრამ დათვი
მორთული ნაძვისაკენ მიეშურება.

იქ ტყის მცხოვრებლებმა ხელი ხელს
მიგრაჩასკიდეს და ნაძვის გარშემო ხელაბ
ფერხული გააჩაღეს.

ტყის სტუმრების ცეკვის შემდეგ გე-
რი მიღდა პატარებზე, და მუსიკამაც ლე-
კური ტკბილად ააყვარა.

სცენა ღარბაზს ორივე მხრივ ხილებით
შეუერთეს.

აგერ გამოხტა გივი თეთრი ჩოხით,
თეთრი ბოხოხა ქუდით, ვერცხლის პა-
წია ქამარ-ხანჯლით და თეთრი მესტებით.
მან კურღლევივით სწრაფად გადაირბი-
ნა ხიდი და ნაძვის გარშემო ისეთი ლე-
კური ჩამოუარა, თითქოს მიმინომ ცის
სიღრმეში შეინავარდაო. მან თავდახუ-
რული პაწია გოგონა ლოყიდან გამოიწ-
ვია, და როცა გოგონამ ლეჩაქი სცენაზე
კოხტად შეფრიალა, ბავშვებმა ისევ ტა-
ში დაკრეს და უარესად აყვირდნენ. შემ-



დღე სხვებმა იცეკვეს, წყვილს წყვილი მოჰყვა.

ფარდის უკან დამალულმა თოვლის კაცმა ველარ მოითმინა, უცებ გამოხტა, ცალი ხელით გრძელი სოცხი სცენაზე კოხტად შეათამაშა, მეორით კი ვითომ და ძლიერ გაღესილი ცული ნაძვის ხეს შემოუქნია და ისევ ციბრუტივით დატრიალდა.

ატყდა მქუხარე ტაში, დაუსრულებელი სიცილ-ხარხარი. თოვლის კაცი კი ცეკვავს, ცეკვავს და რამდენჯერაც კი მაღლა შეხტება, იმდენჯერ კუმშ-კუმში თოვლი სცვივა და ფეხქვეშ თეთრად ეფინება. აგეო მკორე მხრიდანაც რაღაცამ შეიპრიალა—თოვლის ფიფქად გადაცმული გოგონა ფარდის იქიდან ხელეზმულილი მართლა ფიფქივით მსუბუქად წამოვიდა, ნაძვის ვაშემო ნიაფქარივით რამდენიმე წრე გააკეთა, შემდეგ თოვლის კაცისაკენ გაქანდა, კისერზე ჩამოეკიდა და გადაკოცნა.

— ვაშაა... ვაშაა!

უფრო ძლიერ იგრილა თეატრმა, და როცა ამ წყვილმა განმეორებითი ცეკვა მეტად კოხტად დაამთავრა, მარჯვენა პატარა ველოსიპედი, მარცხნივ კი გოგონაზე მაღალი დედოფალა კაცებმა მათ თავზე წამოაყენეს და საჩუქრად უძღვნეს. გოგონამ ლამაზ დედოფალას ფართო ღიმილით შეხედა და თავი ნელა გაარხია:

— არა, მე დედოფალა არ მინდა, მე ველოსიპედით ნავარდი მირჩენია, — წარმოთქვა გოგონამ და ველოსიპედისაკენ გასწია, კაცს ველოსიპედი ჩამოართვა, ხელათ მოახტა და ნაძვის ხეს რამდენჯერმე რომ შემოუბრახა, შემდეგ ფარდას იქით მიიმალა და აღარც გამოჩენილა.

— ხა-ხა-ხა-ხა! — ხარხარებენ პატარა მაყურებლები.

— ვაშაა... ვაშაა! — გრიალებდა თეატრი, როცა სცენაზე შერჩენილი თვალმდაქვეტილი დედოფალა და მხარზე ცუცხმეიყულებული თოვლის კაცი ერთმანეთს გაკვირვებით შესჩერებოდნენ.

პიკველი თოვლი


ნოე ლენაკალი

ცივა! ცივა! მინდორ-ველად
ცივი ქარის ხმაურია.
წვიმს საზარლად! და წვიმაში,
ხელავ, თოვლიც გაურია!

მოუხშირა! ნაფლეოვად
ცივა ფიფქი ფართო-ფართო,
ყველაფერი გათეთრდება,
თუ ამაღამ ასე დათოვს.

გენაცვალე, ჩემო კარგო,
ცაო, ცაო, ნისლიანო,
თოვლი უხვად ჩამოფანტე,
რომ ხვალ ცივით ვისრიალოთ!





მამიდა თუ ბატონი

ახალი წლის მოლოდინში
ჩვენი თეო დაფასურდა:
მისი წულები ჩამოვლენ,
მათ დახვედრა კარგად უნდა!
გამზადა გოზინაყი,
ხაჭაპური, კვინტი ყველი
და სასმივი ალუბლისა,
სურნელი და შიმხიდველი.
„ალუბალი რაღად ვარგა,
გაუტლენთავს მაგარ არაყს“ —
თქვა მამიდამ და ერთბაშად
სანაველოს გადაყარა.

ბატები ჰყავს მამიდისა,
შინ გაზარდა თვითონ ყველა,
იმის ფეხის ხმა რომ იცნეს,
შინაშეუოეს სანაველოს.
შეესივნენ ალუბალსა,
ხარბად ჰყამენ ახალ საყენეს,
გამომდნენ და ბარბაკითა
წამოვიდნენ სახლისკენ.

მიეღულათ თვალთა ხედვა,
სიმძიმისგან თავი სწყუდებათ,
ისინინეს ცოტა ხანი
და მილაგდნენ მიწას წყებად.



მამიდამ რომ მოიკალა
და ბატები ასე ნაბა,
წიშინა თავში ხელი,
იტირა და ივაგლობა:
დავიღებუე, ჭირი არის!
ჭირი არის უეჭველად!
ქათმებსაც რომ დავრიოს



გამიწყდება მაშინ ყველა!*
ვადასძახა მეზობელსა:
— მომეხმარე, ჩემო ნინო,
ჭირმა ბატებს გაუარო,
გერმა მიინც შევირჩინო!

გაგერმეს და გაატრელეს
ეს ბატები უღმობელად,
წაიღეს და მდინარეში
გაღუძახეს ერთად ყველა.
აქ ბატები გამოფხოზლდნენ
და თვალები გაახილეს,
დატრიალდა დედაბატი,
გადახედა შიშველ შეილებს:
— გა-გა-გა-გა-გაგონილა?
ნეტავი ვინ გა-გვა-ტრეტლა?
სი-კი-ვეში აქ რა გვირდა?
შინ ვიყავით ჩვენთვის თბილად.
სი-სი-სი-სი სი-კი-ვის-ვან
გა-გა-გა-გა-გა-ვი-ყი-ნეთ!
ისისინეს იყიყინეს
და გასწიეს შინ წყვილ-წყვილად.



მამიდას რომ კვლავ მიადგნენ
კარს ბატები ტანშიშველი,
ხელმოვრედ ნინოს იხმობს:
„აბა, ჰალო, თუ მიშველი!
ეს რა არის დღეს ჩემს თავს,
დღეს რა წერამ ამიტანა:
ხომ გამიწყდნენ ამ ხაშთარში
უგერმოდ და ტიტლიკანა!“
გაღპოილეს დიდი ბოხნა,
მოტანეს მაკრატელი
და შემოსეს წაას ბატები
ამ ლამაზი ტანსაცმელით!

ჩვენ დახიკარგეთ

ინეს ნაქაშია

- ბაბუ, ნახე, როგორი თოვლია!
- მაშ, მაშ, კარგი თოვლია, — ნელა, კოკ-ლომით მივიდა ბიჭუნასთან ბებერი ბაბუ, მოხეია ხელი და ფანჯარაში გაიხედა.
- ბაბუ, შენ გიყვარს თოვლში თამაში?
- ძალიან, ძალიან მიყვარდა, ჩემო ბიჭუნო.
- ბაბუ, მაშ წავიდეთ, ვითამაშოთ.
- მე რომ ახლა ფეხები მტკივია, ბიჭუნო, და თოვლში შემტკიცდებამ?
- მაშ მე გამიშვი. აი, ხედავ, უსიკოც გამოვიდა.
- უსიკო კი არა, რუსიკო.
- ჰოო, უსიკო, ბაბუ; ხედავ, აი როგორ დარბის უსიკო! ხედავ, ბაბუ, რამოდენა თოვლის კაცი გააკეთეს ბავშვებმა ეზოში, როგორ თოვლაობენ? გამიშვი, რაა, ბაბუ, მეც მინდა თოვლში სირბილი!
- დედამ რომ თქვა არ შეიძლებაო?
- სულ ცოტა ხანს, ბაბუ, სულ ცოტა ხანს, — და პატარა ბიჭიკო მოეხეცა ბაბუს კისერზე.

- სულ ცოტა ხანს კი შეიძლება, მაგრამ ჩქარა უნდა ამოხვიდე, რომ დედას არ ეწყინოს.
 - არც მამას ეწყინოს.
 - ჰო, მაშ, არც მამას.
- მოხუცმა დაღო თავისი ჩიბუხი, ჩააცვა ბიჭიკოს თბილი პალტო, ჭლდი, კალოშები, ყაბაღახი შემოახვია, გაულო კარი და უთხრა:
- აბა, ჩემო კარგო ბიჭიკო, ჩქარა ამოდი, მე დაგვიკეთებ ფანჯარაში და მაშინვე გამოიქცეო.
 - ჰო, ბაბუ, მაშინვე გამოვიქცევი, — უთხრა ლეომ ბაბუს და აკოცა. ბაბუმ გაულო კარი და გაუშვა ლეო.
- ეზოში მართლა დიდი ამბავი იყო. სწორედ შუა-ადგილას გამოქობულიყო თოვლის კაცი — უზარმაზარი წითელარმიელი. ბავშვებს ერთი ყრიაბული ჰქონდათ. ზოგი თოვლაობდა, ზოგი თოვლის კაცს დატრიალებდა, ზოგიც შეიარაღებული ჩაბევი იყო და წითელ არმიას რაზმედა, პატარა რუსიკო კი ეზოს კუთხეში ბელღურებს ნამცეკებს უყარდა.

ლეო გაიქცა რუსიკოსაკენ. ბელურები გაფრინდნენ, მაგრამ ისევ ჩაბრა მოფრინდნენ და ნაშტმცემებს კენკვა დაუწვეს.

უცებ ქუჩაში ბუსიკის ხმა გაისმა. ბავშვებმა იგრიალეს და ყველანი გაკვირდნენ ეზოდან. ღიღი შევი მურაც კი გამოუდგა მათ უკან. ბელურებიც გაფრინდნენ.

— ჩვენც გაიქცეთ, უსიკო, — უთხრა ლეომ და ხელიხელაჩაიდებულნი გაიქცნენ ქუჩაში.

ქუჩაშიც ღიღი ქრიაშული და მზიარულება იყო. გაშლელ-გამომშლელი ხალხი იცინოდა, ისმოდა ტრაშეის წყარაწყური, მარხილების სრიალი, ეგტოების გუგუნნი. შუა ქუჩაში მიდიოდა წითელარმელების რაზმი მუსიკით, თან წითელი ბიარაღი მიჰქანდათ. ხალხი მზიარულად აყოლებდა ფეხს მუსიკის ხმას. როგორ შეიძლებოდა, რომ ლეო და რუსიკოც არ გაპყლოდნენ მუსიკის ბაკაბუკით, და გაჰქენენ კიდევაც.

წითლარმელებმა უცებ შეწყვიტეს მუსიკა და ახლა სიშლერა შემოძახეს.

ლეომ და რუსიკომაც იცოდნენ სიშლერები და იმათაც შემოძახეს. ხალხი იმათ დანახვებზე იცინოდა და ამბობდა:

— შეხედეთ, რა კარგი ბავშვებია, როგორ მღერიათ!

ლეო გაიბერებოდა და ამბობდა:

— ჩემ წითლარმეელი ვარ!



— მეც! — დაატანდა რუსიკო და იცინოდნენ.

— აი, ლეო, შეხედეთ, — უთხრა რუსიკომ, — ნიანგი, — და დანახვა კვლელზე აკრული პლაკატი — ნიანგი, რომელიც ორთითით ერტყება ბავშვებს.

— უუ, რამოდენა ნიანგია! ნიანგი! ხედავ, როგორ გაავლო პირდაუხანელი ბავშვები: წაღი შინ, შე მურიანო, პირი დაიბანეთ. მე წიგნი მაქვს ამისთანა, — თქვა ლეომ.

— მეც მაქვს, — თქვა რუსიკომ.

ლეო და რუსიკო კარვახანს იღგნენ და უყურებდნენ ნიანგის სურათს. უცებ სადღაც არღნის ხმა გაისმა. ქუჩიდან გოგო-ბიჭები შეკვივდნენ ერთ ეზოში.

ეზოში არღანი მზიარულად უყარედა და მეორე ღიღ ყუთში პატარა სასაცილო დედოფლები ცუკავდნენ და თამაშობდნენ. ხალხი ბევრი შეკრებილიყო, ირგვლივ ტაშს უყარავდნენ და ხარხარავდნენ. ლეო და რუსიკო სულ წინ გაუშვეს და ისინიც ყულაფურს კარვად ხედვდნენ, იცინოდნენ და ტაშს უყარავდნენ. როდესაც პატარა კოვანამ ფულის შეგროვება დაიწყო მყარღნის ქუდით, ლეოს და რუსიკოს, რასაკირველია, ფული არ ჰქანდათ და ლეომ თქვა:

— მე დედა მომცემს, შინ რომ მოვა, და მეჩემ მიცემს.

ერთ ქალს ამ სიტყვებზე გაეცინა, ამოიღო ჯიბიდან ფული და მისცა ორ-ორი შაურ, ლეოსაც და რუსიკოსაც. იმათაც მზიარულად ჩაუდგა გოგონას ქუდში.

✕ ხალხი დაიშალა, მყარღნე სადღაც წაიდა. ლეო და რუსიკოც გამოვიდნენ ეზოდან.

— ახლა მე ბაბუ დამიკუნენებს ფანჯარაში და წაივდეთ, — თქვა ლეომ.

— მეც დედა დამიძახებს, შინ რომ მოვა, — მიუჯო რუსიკომ და გაუდგნენ გზას. ტრაშეის ისევე გაჰქონდა წყარაწყური. ხალხი ქრიაშულადა, თეთრი თოვლი ისევესე ბეკრიალავდა მზეზე, ყველა და ყველაფერი ხარობდა, ლეო და რუსიკო ხელიხელაჩაიდებულნი მიკეტრულადადნენ სიცილით.

— აი აქ კინოა, აი, ხედავ, ნახატებიც არის. აი, შეხედეთ, მე დედაც წამიყენა.

— აი, ხედავ, რამოდენა მურიანა დაბატული, ეს რინტინტინია, — ამბობდა რუსიკო.

— აი კიდეც როგორ წაიღო არწივმა პატარა ბიჭი.

— ბიჭი კი არა, გოგო, უსიკო!

ლეო და რუსიკო დიდხანს ათვალიერებდნენ ნახატებს. მერე იქვე კიბეზე დასდნენ. იცი-ნოდნენ, აბარტყუნებდნენ ფეხებს.

— შე რინტირტინი ვარ! — იძახდა ლეო.

— მეც, — მიუგებდა რუსიკო.

— შე არწივი ვარ

— მეც!

— აბა, ბავშვებო, გიყოფათ აქ ჯდომა, შინ წადით, — უთხრა მათ ერთმა კაცმა.

— ჰო, წავიდეთ შინ, შე პური მინდა, — თქვა ლეომ.

— მეც!

ბავშვები ადგნენ და წავიდნენ. კარგახანს იარეს. ახლა აღარ ჩანდა არც ტრამვაი, არც

არმიელები, არც არღანი. ხალხიც ნაკლებად მიდი-მოდიოდა.

— შე შინ მინდა, სად არის ჩვენი ბინა?

— იო, აქეთ არის ჩვენი ბინა, — მიუვლო ლეომ, — შე ახლა ბაბუ დამიძახებს...

— აი ჩვენი ბინა, თქვა რუსიკომ.

— არა, ეს არ არის ჩვენი ბინა. ჩვენ სახლთან წითელარმიელები მღერიან, ჩვენი სახლი აქეთ არის.

ახლა ისინი ისევ დიდ ქუჩაზე გახდნენ. ისევ აწკარუნდა ტრამვაი, ისევ აფრიალდა ავტობი.

— აი ჩვენი სახლი აქ არის, — გაეხარდა რუსიკოს.

ამ დროს ვაისმა ბარაბნის ხმა. ოჰ, რა კარგი ბარაბანი იყო! ლეო და რუსიკო ბაქნით აპყენენ ბარაბნის დაკვრას.

(დასასრული იქნება)

ღომი

სიმონ ქვარციანი

(ნახევლი აბაზაი)

— ბავშვებო! იტალიაში ბევრი ლამაზი ქალაქია; მათ შორის ფლორენცია ერთერთი საუკეთესოთაგანია თავისი ბუნებრივი სიტურფით, ბაღებით და კოხტა შენობებით.

ფლორენციაში არის დიდი ზოოპარკი. ერთ დღეს ზოოპარკიდან გაიქცა ლომი. იგი დრიალით გარბოდა ქუჩებში და შიშის ზარი დასცა მცხოვრებთ. ლომის დანახვაზე გარბოდნენ დაფეთებული მგზავრები, იმალებოდნენ სახლებსა და ეზოებში. ვისაც კი დაეწეოდა ლომი, სიცოცხლეს ასალმებდა, ნაფლეთებდა გლეჯდა.

სასწრაფოდ აცნობეს ჯარსა და პოლიციას. დაედგინენ გამბედავი მონადირეები ფენით და ცხენით, მაგრამ გაფთრებულ ნადირს ისე მალე ვერ მისწვდნენ, ვერ ჩაიგდეს ხელში, ვერ მოკლეს.

ამ დროს ქუჩაში სეირნობდა ახალგაზრდა ქალი, ხელში ეკავა ძუძუთა ბავშვი. ამ ბავშვიან ქალს უეცრივ შეეფეთა პირდღებუღი ლომი. ქალი შეშინდა, იკივლა, გააგდო ხელიდან ბავშვი და გაქცევა დააპირა. უბედურ დედას უცებ გაახსენდა შვილი, სწრაფად მიბრუნდა, დაეძხო ბავშვთან და ვედრებით სავეცრემლიანი თვალებით შეხედა ლომს აფრიკის მშვიდვარე მხეცმა იგრძნო დედის გმირული თავგანწირვა, შეჩერდა, ლომობიერად დააცქერდა ბავშვს და დედას. მას შეებრაღა ისინი, აუქცია გვერდი და წინ გასწია...

ბედნიერა დედამ აიტაცა შვილი და მიმავალ მზიკს მდღლობით სავეც თვალე-ბი დაადგენა.



ფართო სპეტაკ მინდორზე მიმედ მიაბიჯებდა ბორია და ნაკვალევს ტოვებდა თეთრ მინდორზე.

ბორია ტყეში შევიდა. სიხარულით მიეგებნენ მას თოვლით დაძანებული ნაძვის ხეები, ბორიაც მიესალმა მათ, რამდენიმეს სიხარულით გაჰკრა ხელი. ნაძვის ხის ქვეშ მიუყუდელი კურდღელი დაფრთხა და ყურაცქვეტილმა გადაურბინა წინ.

— გამარჯობა, ყურცქვითა! — წამოიძახა შემკრთალმა ბორიამ. სიჩუმით მოცულ ტყეში ზარივით გაისმა მისი წკრილა ხმა.

ბორია დაიკუნა, ფრთხილად შეძვრა ნაძვის ხის ქვეშ და დამალული თაბახი გამოათრია. გულმოდგინედ შეუღდა კაკანათის დაგებას. ვააკეთა, მიიძალა და დაიწყო ლოდინი. დიდხანს არ დასჭირებია ცლა.

დამშეული ჩიტუნები მალე მიუახლოვდნენ პურის ნამცეცებს. ბორია გულის ფანქარით ელოდა, რომელი მათგანი შეყოფდა თავს კაკანათში. ჩიტუნები ფრთხილდნენ, ხტუნვით უვლიდნენ კაკანათს გარშემო. ჩიტუნია შებტა კაკანათში. სიფრთხილით დაუწყო ნამცეცებს კენკვა. თანდათან გათამამდა, ახლა უკვე აღარ ფრთხილობდა.

ბორიამ იდროვა, ბაწარს ხელი გამოჰკრა, და გათამამებულ ჩიტუნას თაბახი თავზე გადაემხო. გახარებულმა ბორიამ შეჰყო ხელი თაბახქვეშ, ჩიტუნია ხელში მოიკცია. ჩიტს გულში უკანკალებდა, ჰყოდა, პატარა ნისკარტით უკორტნიდა ხელს. ბორია უაღერსებდა პატარას, თავზე ჰკოცნიდა.

ბორია შეაკრთო ხელმა, რომელიც მხარზე დაადეს. იგი აქ არავის მოელოდა. შემკრთალმა მოიხედა. მისი თვალები შეეგება მომღიმარ თვალებს. უცნობის მოკლე წვერზე თოვლის ფანტელები უხვად ბრწყინავდა. მისმა კეთილმა სახემ,

მოციციმე თვალებმა გაათამამა ბორია. მანაც გაუღიმა უცნობს.

— რათ იქერ პატარა ჩიტებს? — მოისმა რბილი, ხავერდისებური ხმა. უცნობი ორივე ხელით დაეყრდნო წინ დაბჯენილ თოვს.

— ბაზარზე ვყიდი. — ბორიამ, ყურადღებით დაუწყო უცნობს თვალიერება.

— არ გეცოდება? ხელავ, როგორ ფრთხილდები? — უცნობმა მიუთითა ბორიას ხელში მოფრთხილვე ჩიტზე. ბორია დააჩერდა ჩიტს. რამდენჯერმე შეავლო თვალი უცნაურ უცნობს.

— შენ არ გეცოდება კურდღელი? — ბორიამ უცნობს მხარზე გადაკიდებულ კურდღელზე მიუთითა.

— ხა-ხა-ხა! — გაღიხარებულმა უცნობმა.

— ყოჩალი ბიჭი ყოფილხარ. რა გქვიან?

— ბორია. შენ?

— მე? გაიღიმა უცნობმა. — მონალიჩა.



ლენინის პატარობის სურათი

— მონადირე? — გაიმეორა დაფიქრებულიმა ბორიამ. წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— არ სწავლობ, პატარა? — გაისმა მონადირის ხმა.

— მე? გამომავდეს, — უპასუხა ბორიამ, თოვლით გადაპენტილ დედამიწას დააჩერა და ფეხით დაუწყო ჩიჩქნა.

— ე, ევ არ არის კარგი საქმე. ცუდად სწავლობდი?

— არა. დედას ფული არა აქვს, რომ შეიტანოს. არც ფორმა მაქვს ჩასაცმელი.

— მამა არა გყავს?

— მამა? შორს არის, ციმბირშია, — უთხრა ბორიამ და ხელი სიერცეში გაიშვირა.

— დედა რას აკეთებს?

— სამრეცხაოში მუშაობს, მაგრამ ფული არ გვეყოფის. აი, მე ჩიტებს ვიჭერ, ბაზარზე ვყიდი, — თითქოს თავს იმართლებდა ბორია.

კარგახანს დადიოდნენ თოვლით დაფარულ ნაძვებს შორის ბორია და მონადირე. მონადირემ მრავალი კარგი რამ უამბო, გამოთხოვებისას მაგრად ჩამოართვა ხელი. ბორია სიხარულით მიხტოდა თოვლით დაფარულ ტრიალ მინდორზე, უხაროდა, რომ ხეალ კვლავ მოვიდოდა ტყეში, დიდი ნაძვის ხის ქვეშ, ნახავდა მონადირეს. მერე რამდენ ამბავს მოუთხრობდა კეთილი მონადირე! მონადირის მოკლეული კურდღელი ახლა ბორიას შვეტყავის ქურჭზე თეთრად ქათქათებდა.

დიდი სიხარულით დადიოდა ბორია ტყეში, იქ ხედებოდა მონადირეს. მონადირე ეხმარებოდა ჩიტების დაჭერაში, მოუთხრობდა მშვენიერ ამბებს.

დღესაც ბორია სიჩქარით იცვამს თავის ტყავის ქურქს, ეჩქარება არ დაავიანდეს.

— სად მიხვალ, ბორია? — გამოეხმაურა დედა.

— ტყეში.

— ამ ბიჭს მთელი დღე ტყეში უყოფნა, — უკმაყოფილოდ მიმართა მონადირე ამხანაგ ქალს.

მაგრამ უეცრად შეწყდა ბედნიერი დღეები. ბორია მთელი დღეები ელოდა მონადირეს დიდ ნაძვის ძირში, მონადირე კი არსად ჩანდა. ის უეცრად გაქრა. თოვლი უკვე დნებოდა, ზოგან უკვე გამოჩნდა დედამიწა. ზამთარი ნელ-ნელა კეცავდა თავის თეთრ სუფრას, მონადირე კი არსად იყო. დალონებული დადიოდა ბორია მონადირის მოლოდინში. აღარც ჩიტებს იჭერდა: აღარავის ეცადა ჩიტებისათვის. ვინა იყიდა ჩიტებს, ომმა ხალხი დაამშია, ყველა ლუკმა-პურისათვის ზრუნავდა.

გავიდა დღეები, თვეები და წლები. მრავალი ცვლილება მოხდა ამ წლებში. მრავალი ცვლილება მოხდა ბორიას ცხოვრებაშიც. იგი უკვე გაიზარდა, დავაჯაკდა. მამაც დაბრუნდა ციმბირიდან. დედა აღარ მუშაობს სამრეცხაოში, ბორიაც აღარ ყიდას ჩიტუნებს.

მონადირის მომიღმარი თვალები სამუდამოდ დარჩა ბორიას მახსოვრობაში: ისე სპეტაკი და წმინდა იყო, როგორც პირველი თოვლი მაშინ, როცა ბორია პირველად შეხვდა მონადირეს.

ახლა ბორიას სხვა მასწავლებელი ჰყავს. თბილ ოთახში მაგიდას მისჯდომია ბორია, გაუშლია ლენინის ტომი და ყურადღებით კითხულობს.

კითხულობს ბორია. რაღაც შორეული, რაღაც მეტად ახლობელი და თბილი ავონდება მას. მის გულს ბავშვობის ტკბილი მოგონება კენწლავს. წიგნიდან თავი აიღო, მის თვლებს მიეგება კვლიდან გადმომცქირალი ლენინის პორტრეტი.

ბორია შეკრთა, მას მოეჩვენა, თითქოს პორტრეტიდან მონადირე უცქერდა. მისი ბავშვობის შორეული მოგონება. წამოხტა, ერთი ნაბიჯი გადადგა პორტრეტისაკენ.

— რა იყო, ბორია? — შეეკითხა ლემელთან მჯდომი დედა და უცნაურად შეხედა შვილს. ბორია გამოარკვია ამ კითხვამ. გაქრა მონადირე. ბორიამ შუბლზე გადისვა ხელი.

— არაფერი, დედა, — გასცა პასუხი ბორიამ. კვლავ შორს, გულის კუნჭულში შეინახა ბავშვობის ტკბილი მოგონება. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ბორია დაუბრუნდა თავის დიდ მასწავლებელს, ყურადღებით დაიწყო კითხვა.

მამა ფეხების ბაკუნით ამოვიდა კიბეზე. კარებთან დაიბერტყა თოვლით დაფარული ტანსაცმელი. შუა ოთახში შემოსული უხერხულად გაჩერდა. სახეზე გადაკრული უჩვეულო მწუხარება სწრაფად შეამჩნია ცოლმა და შემკრთლი ხმით ჰკითხა:

— რა იყო, პავლე?

— ლენინი გარდაიცვალა, — ყრუდ თქვა მამამ. ამ სიტყვებმა დედა-შვილი ტყვიანაკრავივით წამოაგდო ზეზე.

— როდის? ვინ გითხრა? — მიაყარეს კითხვები დედა-შვილმა.

— დეპეშა, — უპასუხა მამამ. ის ქუდმოხდილი გაჩერდა ლენინის პორტრეტის წინ. ბორია დასწერებოდა წინ გაშლილ ლენინის ტომს. მის თვალწინ უცნაურად ციმციმებდნენ ასოები.

— მრავალი წლის წინათ, სწორედ ასეთ ზამთარში, მე პირველად მოვეუსმინე მას, — დაარღვია სიჩუმე დედის ხმამ. ბორია შეაკრთო ამ ხმამ: თითქოს მის ბავშვობის საიდუმლოში აფათურებდნენ ხელეხს. ბორიამ ჩაიცვა ტყავის ქურქი და გარეთ გავიდა. დედ-მამამ თვალი გააყოლა მიმავალ შვილს. არც ერთ მათგანს არ უკითხაეს სად მიდიოდა.

ბორია მძიმე ნაბიჯით უახლოვდებოდა ბავშვობის ნაცნობ ადგილებს. ისევ თოვდა, ისევ ეშვებოდა თოვლის ფანტელები, როგორც მაშინ, მრავალი წლის წინათ.



მიდიოდა ბორია. მიდიოდა იმ ადგილებსაკენ, სადაც პირველად ნახა მონადირე. თვითონაც არ იცოდა, რათ იზიდავდა მას ახლა ეს ადგილები...

მატარებელი ქმენით უახლოვდება მოსკოვს. ბორია ფანჯარასთან დგას, უინ-

ღათვი, მგელი და მება

მასონ ნიქოლაივილი

ერთი ტყიანი გორაკის ძირას იყო ერთი პატარა სოფელი. ამ სოფელში ცხოვრობდა ვანო ხშიადაშვილი. ვანოს ცოლი, კეკე, მეტად გამრჯე და გამჭირახი დედაკაცი იყო, ჯარასავით ტრიალებდა და ოჯახი დოვლათით სავსე ჰქონდა. მისი პატარა ეზო ფრინველებითა და წვრილფეხი საქონელით იყო სავსე, მსხვილფეხიდან უღლად ხარი და კარგი მეწველი ძროხაცა ჰყავდათ. მათ ჰყავდათ ერთი პატარა ბიჭუკელო. კაკო. კაკო ხუთი წლისა იქნებოდა. დედას კაკო საბავშვო ბაღში დაჰყავდა. იქ მას ასმევედნენ, აქმევედნენ, ართობდნენ და ასწავლიდნენ. როცა მშობლები კოლმეურნეობაში მუშაობას მორჩებოდნენ, კაკოს საბავშვო ბაღში გამოუვლიდნენ და შინ წამოიყვანდნენ.

ცნობრობდა ეს პატარა ოჯახი ტკბილად და ბედნიერად. მაგრამ ამ ტკბილ ცნობრებას მათ ტყის სიახლოვე უშხამა-

ვდა. ამ ტყეში ბევრი ნადირი ბუდობდა, რომელნიც მათ დიდ ხარალს აყენებდნენ. განსაკუთრებით მოსვენებას არ აძლევდა მათ ერთი წუწკი მელნა: ისეთი დედ იშვიათი იყო, რამ მათთვის ქათამი ან წვრილფეხი რომ არ მოეცა. ვასულ გაზაფხულში მგელმა კიდევ მათ ერთი კარგი ხარი შეუქამა.

ვანომ ერთ გამოცდილ მონადირეს უამბო თავისი გაქირვება და რჩევა-დარიგება სთხოვა. მისი რჩევით მან პატარა ბილიქზე, საიდანაც ჩვეულებრივ ნადირი მოდიოდა, კარგად ორმო ამოთხარა და ზემოდან ლელითა და ფოთლებით დახურა. შუალამე გადასული იქნებოდა. მობაჯბაჯდა დათუნია. მას ღორის ხორცი მოჰპატრებოდა. საფრთხისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ვადადგა თუ არა წინა თათი, თავდაყირა ვადავარდა ორმოში და ფსკერზე ბრავგანი მოიღო. არ იამა დათუნისას ეს ამბავი. სცადა ზევით ამოხტომა, მაგრამ ორმო საკმაოდ ღრმა იყო, შუამდევ ვერ მოსწვდა და ისევ ძირს დაებრეგვა. გამწარებულმა იწყო თათებით მიწის გლეჯა, მაგრამ ამით აბა რას ვახდებოდა! თუ უფრო გააღრმავებდა ორმოს, თორემ სიღრმეს ხომ ვერ მოაკლბდა.

არ ვასულა დიდი ხანი, მოძინებულდა მგელი, პირმყრალი და მტრელი. მასაც დიდი იმედი ჰქონდა, რომ ვანოს ფარეხიდან ცხვარს გამოათრევდა და გაუმბძლარ მუცელს ამოიყორავდა. უბედურმა საფრთხე ვერ შენიშნა და ორმოში დათეს ზურგზე დაეცა, გაბრაზდა დათუნია, მგელს ყვრიმალში თათით ერთი ისეთი სილა სტყიცა, რომ შენგან მოწონებულლი. მგელმა დათეს ვერაფერი გაუბედა და ორმოს კედელთან მიიკრუნხა. შემდეგ თავის დასაღწევად გამწარებით იწყო ორმოს ვარშემო რბენა. ზევით ახტომაც უნდო-



ბტომა ჩინებული ვიცი—მგელს ზურგზე შევახტები. იქიდანაც ვისკულებ და მალლა, დედამიწაზე ავხტები. იქ ერთ წაშში თოკს მოვარბენინებ და სათითაოდ ზემოთ ამოვიყვანთ.

— იუ! ჩინებულია, ჩინებული! გენაცვალე მაგ გოგრაში! ამის უკეთესს ჩვენ ვერაფერს მოვიგონებთ! ჩქარა! ნუ აყოვნებს! — დაიბურღლუნა დათვმა და კედელთან დადგა.

მგელი მას ზურგზე შეახტა. მელიამაც ისკუბა, მგელს ზურგზე შეახტა. იქიდანაც ახტა, დედამიწის პირზე დახტა და თავს უშველა. დათვი და მგელი კარგა. ხანს ელოდნენ, მელა თოკს მოიტანს და ორმოდან ამოვიყვანსო, მაგრამ ამოღ: ცუღლუტმა მათ უღალატა.

გათენდა. ვანოს გამოეღვიძა. სანქაროდ აღგა, ტახისამოსი ჩაიცვა, ხელ—პირი დაიბანა და თავისი ორმოს დასახედავად წავიდა. მივიდა ორმოსთან და რას ხედავს?! დათვი და მგელი იმავე მდგომარეობაში იყვნენ, მელამ რომ დატოვა, ე. ი. დათვს მგელი ზურგზე აღგა და მელას დაბრუნებას ელოდნენ. ზახარებუღი ვანო მუზობლისას გაიქცა, თოფი მოიტანა და ორივე შიგ ჩაქლა. ცოლისა და მუზო-

ბლის დახმარებით დიდი ვაჭირებით ამოათრია ისინი ორმოდან და შინ წაშეშვეს.

პირველ დანახვაზე კაკოს მათი ძალიან შეეშინდა, მაგრამ შემდეგ თანდათან გათამამდა და წიხლიც კი სდრუნა და სდრუნა გვერდებში. „ა, თქვე საძაგლებო! თქვენ შექამეთ ჩემი ხარი, ჩემი ბეკვა და ჩემი ღრუჭუნა? ასე მოგიხდებათ თქვენ!“ — დასძახოდა მათ კაკო და გამეტებით წიხლსა სცემდა.

ვანომ სახლიდან კარგად გაღვსილი დახა გამოიტანა და ორივე გაატყავა. ტყავები მან ოთხივე მხრით წნელით მაგრად გააწკიპარტა, შაბი და მარილი წაუსვა და გასახმობად საშხალი სახლის სხვენზე ჩამოკიდა. როცა ტყავები გახმა და დავარკინდა, ვანომ ისინი კარგა მოთეღა და დათვის ტყავისაგან საზამთროდ ჩინებული თბილი ქურქი შეიკერა, მგლის ტყავი კი ტახტზე დააფინა.

მოისვენა ოჯახმა ნადირისაგან. ამის შემდეგ არც ერთ ხადრის არ გაუქაჯანია მათ ძახლობლად. მელიამ ხომ თავს უშველა და გადარჩა, მაგრამ ისიც ისე დაშინებული იყო, რომ ამ არემარედან სადღაც გაღიხვეწა და აქეთვე სულაც აღარ გამოჩენილა.

მ ი ნ ი ს ქ ვ ე მ

ნ. მღმუჟია

მიწის ქვეშ მოიპოვება გამოქვავლულები, მონისქვეშა მდინარეები, ტბები, ნაკადულულები. არსებობს ისეთი გვირაბები, რომლების სიგრძე რამდენიმე ათეულ კილომეტრს აღწევს.

აი აქ, გამოქვავულშიაც, არი ცხოველები, რომლებიც მუღმივე წყვდიადში არსებობენ, ესენი ბრმა ცხოველები არიან თოვლზე. მაღალი მთის მწვერვალებზე და ჩრდილოეთით, ცივ სარტყელში, თოვლი ადგილ—ადგილ წითელია, თითქოს სისხლით არის მორწყულიო — ეს პატარა წითელი ბურთულეები ცოცხალი არსებებია — წვრილი წყალმცენარეები.

როდესაც დადგება გაზაფხული და თოვლი დნობას დაიწყებს, ისინი ამ დროს მრავლდებიან და ცურავენ, იკვებებიან, იზრდებიან, ერთი სიტყვით, ცოცხლობენ. როგორც ხედავთ, თოვლზედაც შესაძლებელია სიცოცხლე ჰაერში.

სიცოცხლემ დაიმორჩილა ჰაერიც. აბა გაიხსენეთ, ვის შეუძლია ფრენა? ფრინველებს, მწერებს და სხვადასხვა ცოცხალ არსებას.

აბა ეს ვიღაა? ხელიკი, რომელსაც მფრინავ დრაკონს უწოდებენ, ის სარგებლობს საფრენი აპკით და თავისუფლად

ღანავარდობს ჰაერში საკვების მოსაპო-
ვებლად.

აი ეს მფრინავი თევზია. ის ამოხტება
წყლიდან და თუ რამე საფრთხე მოელოს,
აფრინდება მტრისაგან თავდასაცავად.

წყალში.

სიცოცხლემ დაიმორჩილა წყალიც.
გაისხენთ თევზები, ლოკოკინები, კიბო-
ები, ხოკოები.

აი ეს გასაკვირველი ცხოველი პინ-
გვინია. მას სრულიად არ შეუძლია
ფრენა, ძალიან ცუდადაც ადადის, სამა-
გიეროდ მშვენიერად დაკურავს და ყვირ-
თავს. პატარა ფრთები აქვს და მათი სა-
შუალებით კი არ ფრინავს, არამედ და-
ცურავს.

წყალმცენარეები ქმნიან ზღვაში წყალ-
ქვეშა ტყეებს, მხოლოდ იმ სიღრმეზე,
სადაც ჯერ კიდევ აღწევს შუის სხივები.
ბევრი რამ ესაქიროება ცოცხალ არსე-
ბებს, მაგრამ მთავარი კი ისაა, რომ იყ-
ვებონ და დაიცვან თავი მტრისაგან.

სპილო თავისი გრძელი ხორთუმით
გლეჯს ხის ტოტებს ფოთლებით და ნა-
ყოფებით. თეთრ დათეს თეთრ თოვლ-
ში შეუმჩნეველად შეუძლია თამაზად
მიებაროს თავის მსხვრებას.



პინგვინი

კუნძულ სუმატრაზე არის პეპელა,
რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებ-
ლები უწინარს უწოდებენ. ეს ძალიან
ლამაზი ჭრელი პეპელაა. როდესაც მას
მისდევნენ, ის სწრაფად დაჯდება ხის ტო-
ტზე, დაკვეცავს ფრთებს და უწინარი
ხდება. ფრთის შიგნითა მხარე თავის ფე-
რით და მოყვანილობით გამხმარ ფო-
თოლს წააგავს, ისე რომ გგონიათ ხეზე
პეპელა კი არაა, არამედ დარჩენილი
გამხმარი ფოთოლიო.

პასუხისმგებლობის ნიშნში

დ. ჭიჭინაძე

ამ წლის შინაგარს გაზეთმა „კომუნის-
ტურმა განათლებამ“ გამოაქვეყნა ი. გრი-
შაშვილის წერილი „ილიას პასუხისმგებ-
ლობის ერთი ნიმუში“. ამ წერილში მოტა-
ნილია ილია ჭავჭავაძის ერთი პატარა წერი-
ლი, რომელიც მეგობრისათვის მიუწერია
და დღეს მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

მეტად საყურადღებოა ილიას წერილი
როგორც დიდებისათვის, ისე პატარები-
სათვისაც. იგი გვასწავლის, თუ როდენ
პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს
ადამიანი ყოველ საქმეს.

ცუდია, როცა ადამიანი ყველგან ეჩხი-
რება. მან უნდა იცოდეს სად მიდის და
რისთვის — აი ამ წერილის მთავარი აზრი.
წერილის შინაარსი კი ასეთია:

„...დღეს საღამოზე, — სწერს ილია თავის
ერთ მეგობარს, — სამეურნეო საზოგადოე-
ბაში საზოგადო კრება არის და კირი-
მირის მოხსენება იქნება შესახებ აქაუ-
რი ენების ხმარებისა აქაურ სკოლებში.
მე მინდა წინააღმდეგე, თუ აქაურ ენე-
ბის წინააღმდეგი ლაპარაკი იქნება. რად-
განაც ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუშ-
ვადებლად არასად წავეწმინო, ამიტომ დღეს
სამსახურიდან რომ შინ წავალ, მაშინვე
ამის საშუალების შევეუდგები. ამის მიზეზით
დღეს შენთან სადილად ვერ ვისიაშოვნებ
და დიდსა და დიდს ბოდიშს ვინდი, სხვა
დროს შენთან ქეიფი ყოველთვის საინტე-
რესოა და სასურველი.

შენი ელია ჭავჭავაძე“
ილიას ეს წერილი იმ დროს ეკუთვნის,
როცა ქართულ სკოლებში ქართულ ენას

ნაკლები ყურადღება ექცეოდა და თვით-
მპყრობელური რუსეთის მეფის მოხელე-
ები ცდილობდნენ სრულიათ აეკრძალათ.
იღია ჭავჭავაძე ასეთი ყურადღებით

ეკიდებოდა ყოველ საქმეს, პირადულ ამ-
ბავს საზოგადოებრივს უმორჩილებდნენ
ამიტომ არის იგი დიდი მწერალი, ამი-
ტომ გვიყვარს ჩვენ მისი ნაწერები.

ოქრობიერი სიუჟეტი

მ. მ. მ. მ. მ. მ.

— გივის ვახლავარ ოცდახუთი ცხენით!
— ოცდახუთი ცხენით კი არა ოცდა-
ხუთი ავტომობილით!

მაჯობე, გივი, მაჯობე: სოციალისტურ
სამშობლოში ცხენის აღვივოს. ავტომო-
ბილი იქერს. როგორა ხარ?

— კარგად. მე ახლა მარტო ოქტომ-
ბრელი კი არა ვარ, არამედ დამკვრელი
ოქტომბრელი.

— ვის უნდა დამკრა?

— ვის და წიგნებს! მე და ჩემმა ამხანა-
გებმა პირობა დავდეთ: ისე უნდა ვის-
წავლოთ, რომ სულ ფრიალები გვკონ-
დეს.

— ო, ვე ძალიან კარგი საქმეა, გივი,
ძალიან! სწავლაში მუდამ ერთმანეთს უნ-
და ეჯიბრებოდეთ და სულ წინ მიდიო-
დეთ.

მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული!

ვისაც უნდა ნამდვილი ოქტომბრელი
იყოს, უნდა ისწავლოს, დიდი ცოდნა
უნდა შეიძინოს.

ჩვენ რაზე გვკონდა ამასწინათ საუ-
ბარი?

— რაზე და სისუფთავეზე.

— ჰო, ჩვენ ვისაუბრეთ პირად სისუფ-
თავეზე. აღამინი ისეთი ორფენია, რო-
მელიც სახლში ცხოვრობს. მას აქვს კავ-
შირი სხვადასხვა საგნებთან, ავტოგულ-
ბასთან. შესაძლებელია შენი ბინა ქუჭ-
ყიანი იყოს, უსუფთაო, შენ კი სუფთა
იყო? არა, არ არის შესაძლებელი.

— გამოსასვლელ დღეს ჩვენ ოთახს მე
და ჩემი და დავგივით ხოლმე.

— აგრე უნდა, გივი, ძალიან კარგი
გაქნია. დედასაც ბევრი საქმე აქვს ოჯახში

და, როდესაც მოცლილი ხარ, უნდა მი-
ეხმარო ხოლმე. ოთახს აქვს იატაკი, ქე-
რი, კედლები, ფანჯრები, კარები, ლუ-
მელიანი ბუხარი. ყოველ ნაწილს ცალ-
კე უნდა გასუფთავება და გაწმენდა. უფ-
რო ჭუჭყიანდება იატაკი: ზედ დავდი-
ვართ და ფეხებითა ვსვრით, პურის ჭა-
მის დროს ნამცეცებს ვყრით ზედ. ზოგ-
ჯერ წვნიანი საქმელი დაგვეღვრება,
ძალღს ან კატას გადაუფუცებთ ძვალს, ლუ-
კმას, და იატაკი ისვრება. ამიტომ, გივი,
იატაკს დღეში ორჯერ მაინც ესაქრო-
ება დახვეტა. მტვერი რომ არ დავდგეს,
წყალი უნდა მოასხურო და შემდეგ და-
გავო, რადგანაც მტვერი კედლებს ედება.
ქერს, კედლები ყოველდღე უნდა ჩამო-
სუფთაო, ქერი კი ხუთ დღეში ერთხელ
მაინც.

მტვერი ძალიან ედება ფანჯრებს, კა-
რებს, ამიტომ ფანჯრები და კარებიც
ყოველდღე უნდა გაიწმინდოს სველი ტი-
ლოთი.

— მე კი გაწმენდა, მაგრამ სკოლაში და
მაგიანდება.

— დილით დედა გაწმენდა ან სხვა ვინ-
მე, საღამოს კი შენ უნდა გაწმინდო
ხოლმე. აგრეთვე უნდა გასუფთავება ლუ-
მელსაც, ბუხარს, ოთახის კუთხეებს, სა-
დაც ობობას უყვარს აბლაბუდის ვაბმა.

იატაკს ძალიან ვსვრით ფეხებით. ამი-
ტომ ოთახში შესვლამდის ფეხები კარ-
გად უნდა გაიწმინდოთ ხოლმე, ამისათ-
ვის კარგია გასასვლელ კართან მუდამ იდ-
ვას დასველებული ძველი ტილო ან ტო-
მარა, რომელიც ხშირად უნდა გარეც-
ხოთ, თორემ ზედ წასმით ფეხსაცმელი
კი არ გაიწმინდება, არამედ უფრო გა-

ქუჭყიანდება. იატაკი უნდა გასუფთავდეს დღეში ორჯერ მაინც; როგორც ვითხარი, მაგრამ ესეც არა კმარა: ათ დღეში ერთხელ მაინც კარგად უნდა გარეცხოს თბილი წყლითა და საპნით.

ოთახში არის ავეჯეულობა: სკამი, მაგილა, შკაფი და სხვა. მტვერი იმსაც ედება, ამიტომ დღეში ორჯერ აუცილებელია მშრალი ტილოთი გაწმენდა ავეჯეულობისა. ოთახში არის ლოგინი, ტახტი, კრაოტი, რომელზედაც შენა გძინავს, გივი.

— მე საკუთარი კრაოტი მაქვს, მაშამ მიყიდა.

— ძალიან კარგი, გივი! რაგინდ კარგი და სუფთა ოქტომბრელი იყო, გივი, კრაოტი მაინც ქუჭყიანდება, მტვრიანდება, შიგ უყვარს დაბინაფება ბალონიჯოს, რომელიც მეტისმეტად მავნებელია, სისხლს გვწოვს და სხვადასხვა ვადამდები სენიც შემოაქვს.

ამიტომ კრაოტი ყოველდღე უნდა გაწმინდო მშრალი ტილოთი. დამე ხშირად გამოგდის ოფლი, რაც ქვეშაგებს ანესტიანებს. ნელნელა კიდევ მტვრიანდება ქვეშაგები, ამიტომ ათ დღეში ერთ-

ხელ მაინც ლოგინი უნდა ააღაგო, ქვეშაგები გარეთ გაფერთხო და გააშუქო.

ქვეშაგები რომ არ გაქუჭყიანდეს, საჭირო არის ზეწურები და ბალიშის პირი, ამათ გამოცვლა უნდა თვეში ორჯერ მაინც.

— თუ კი მეტი არა გვაქვს?

— რა უუყოთ მერე, გამოცვლა მაინც შეიძლება! დასვენების დღეს ადრე ადეკით, აადუღეთ წყალი, გარეცხეთ ზეწურები და ბალიშის პირები, დაძინებამდის გაშრება და გადააქარით ქვეშაგებს.

ტახტი და კრაოტი ათ დღეში ერთხელ მაინც გამოიტანეთ გარეთ და კარგად დამუღრეთ. შემდეგ ჩაახხით ან ბატის, ქათმის ფრთით წაუსვით ნავთი ყველგან. სადაც კი ბალონიჯოების კვალია.

ბალონიჯო მეტისმეტად ბინძური და მავნებელი მუქთახორაა. გარდა იმისა, რომ მუდამ სისხლსა გვწოვს, ზოგიერთი ვადამდები სნეულებაც შემოაქვს სახლში, ამიტომ სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოოთ მათ წინააღმდეგ, თორემ ერთხელვე თუ მომრავლდა, მერე მისი თავიდან მოშორება ძალიან ძნელია.


ზამთარი სოფელი



ლილა ლავითიშვილი

სალამო იყო. მოღრუბლული ცა მუბლ შექმუნული სოფელს უტკერდა, თოვლით დაფარულ მაღალ სერებზე ბილიკი შავად, ზანტად უხვევდა. ყველგან სახლებში სინათლე იყო, ბნელში მოჩანდა ვარსკვლავებივით, თოვლის ფიფქები ნელის გრიალით ძირს ეშვებოდნენ ნახ პეპლებივით. სახლში ბუხარის წინ კატას ეძინა, მის ვეერდით ცუფაც ყვეფა და ხტოდა

მათ ირგვლივ ბავშვებს მოეკალათათ, ბუხარში შეშა ნელა იწოდა. ყველა თბებდა ცეცხლისა აღზე, ბებიაც იქვე მაგიდას უჯდა და ლამფის შუქზე თვის შვილიშვილებს გაჩქარებული წინდებს უქსოვდა. ირგვლივ სიბნელით მოცულ არეში ქარი ზუზუნით ველ-მინდვრად ქროდა შორით ძაღლების ყეფა ისმოდა. და გამუდმებით თოვდა და თოვდა...



ჭიანჭველას ბუნა

ქლ. შიპუაქა

ხის სიმაღლე არის ოცი მეტრი და მის წვეროში ჭიანჭველას ბუნე აქვს გაკეთებული. ჭიანჭველას დიდი ღრო სჭირდება საკუთარ ბუნემდის რომ ავიდეს და ამიტომ იშვიათად თანხმდება იქ მოგზაურობაზე. მაგრამ ერთხელ მან გადაწყვიტა თავის ბუნდესთან აცოცება.

დაიწყო მაღლა-მაღლა ასვლა, მაგრამ ყოველდღიურად სამი მეტრის მეტს ვერ ადის. აჲ თუ არა მაღლა სამ მეტრს, ღამეც მოუსწრებს და თანაც შესცივდება. ამის გამო იძულებულია ქვევით ჩამოიწიოს ერთი მეტრით.

ამნაირად, ჭიანჭველა დღეში თუ სამ მეტრს ზევით ადის, თითო მეტრს, ღამის სიცივეების გამო, ისევ ქვევით იწევს.

ასეთი სიარულით რამდენ დღეს მოუნდება ჭიანჭველა თავის ბუნდესთან მისვლას?

ბოთლის პირზე ქალღლის ზოლი დადევით. ზემოდან დაადვით წყლით სახეე ქიქა და ქალღლი ისე გადამოიდეთ, რომ ქიქას ხელი არ მოჰკიდლოთ.

როგორ უნდა მოიქცეთ?

მე-მ ა/ხ. ხაშ. ხკ. მე-VII-ელ. მ აწ. სოაო ლომთათიძე.



ალქანდრა ყაზბეგი

მ. მ. პპ.

ამ ორი სიტყვის ასოებიდან შეადგინეთ ასი სიტყვა, თუ შეგიძლიათ უფრო მეტიც, და სია გამოგზავნეთ „ოქტომბრელის“ რედაქციაში. ვინც ყველაზე მეტს გამოიგონებს, მისი, გვარი და სახელი ჟურნალში დაიბეჭდება.